



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,  
ელ. ფოსტა: [tsagerisakrebulo@gmail.com](mailto:tsagerisakrebulo@gmail.com)

## ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 9  
06/02/2019

9-06-4-201902061528



**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების, 1100 ლ მოცულობის, პლასტმასის 150 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერის, ერთეულის ღირებულება 553.18 ლარი, პირდაპირი განკარგვის წესით - უსასყიდლო „უზუფრუქტი“ არსებობის ვადით სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურებისათვის“ (ს/ნ 442569551) გადაცემის შესახებ.**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ. გ“ ქვეპუნქტის , 61-მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა :

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება-1100 ლ მოცულობის, პლასტმასის 150 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერი, ერთეულის ღირებულება 553.18 ლარი, გადაეცეს ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურებას“ (ს/ნ 442569551) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-უსასყიდლო „უზუფრუქტი“ არსებობის ვადით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

გ. შუაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო